იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მოწერისაგან ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადახიხდონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. სახელმწიფოს წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ერთს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვანტის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიანი განცხადების დებეტდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

ოთხშაბათი 27 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქციისა

„იმერეთი“

თფილისის ქუჩა, ფარდოფის ოსმაქის ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 139 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 139

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმერის	1 შაური.

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. სახლვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურად 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურად 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურად 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს, კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

უდიდესი

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქუთაისში

კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად საღავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა,** რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამორჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში

ყიდულობა ძლიერ იაფათ.

აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:

1. ყუბანელიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. საზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . „ 3 შაური.
7. მისიენ. ისლამი. . . . . „ 3 „
8. მოძრაკი ანბანი . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდნზე . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „ვეფხისტყაოსანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისიენ. მოკლე გრამატიკა . . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . „ 10 შ.
5. მ. ა. გერასიმოვ. ლოცვანი . . . . . „ 2 „.
6. ალ. ჭიჭინაძე. გეოგრაფია . . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელ , ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქირთული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მიხაილოვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი **საკუთარი** გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიკაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრაკი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და ძალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,

გადავიდა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშვების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს ახსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ. - 2 საათ.

ქალთა გერმო გიმნაზია

მ. ყაუხჩიშვილისა

აცხადებს, რომ ხელახალი გამოცდა დაიწყო 23-ს მარიობისთვეს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

ექიმის იგ. ბოგერიას

საავთმყოფო

გადაყვიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

შემქსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

შექსპირის

რვა ტრაგედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო-კეესარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემს დაფრთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განწილებულია სამ ვადად: **პირველ** - შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ბიბლიოთეკაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კეკარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

ექიმი **გრიგოლ ალშიბაია** უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

ექიმი **მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანსა, ვენერიულ, და სქესობრივ უძლურებით ავადმყოფთ** ღილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. ფოთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი

ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება ღილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი **ი. ჩარეკოვი** ქალაქის **ავათმყოფოს ორდინატორი.** განაახლა **კანს, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს** მიღება **ახალ ბინაზე** ღილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლეონიძოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

ექიმი **ვ. ი. კაკაბაძე** ავადმყოფობა. ხელოვნური ბინაობა. ბულვარი № 1

—ათი. „პეტროგრადელ“ მოამბეს რა გაეგება, თუ როგორ ჩაისახება მისი ახალი ამბავი ჩვენი ბერიკაცის გონებაში? აქ მაგა-პაპური წარმოდგენა იღვიძებს: მტრის შემოსევა, მაშველის აკლება, ოჯახის აწიოკება, ცოლ-შვილის გადახოცნა. ამ ფიქრში ერთათ არეულია ომარ-ხნობა ომარ-ფაშ

და გირლიანდებით შემკული სურათი ხელ მწიფე იმპერატორისა.

მისკლისათანავე იგრძნობდით სადღესასწაულო ელფერს და სიდიადეს სადღესასწაულო მდგომარეობის. ყველა აღფრთოვანებული იყო, ყველას პირზე ომი და ომის ამბები ეკერა, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი თავად-აზნაურობა სხვადასხვა ამბებზე ბჭობდენ. იგონებდენ ჩვენის ჯარის გამარჯვებას ლვოვთანა და გალიჩთან და სხვა.

შუადღის თორმეტი საათისათვის მთელი შენობა ხალხით გაიჭედა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საგანგებო კრებაზე ამდენი ხალხის დასწრება, მხოლოდ არაჩვეულებრივ ამბების ბრალია. კრება მრავალრიცხოვანია. ბევრია ბრძოლაგადახდილი, სახელოვანი მეომარი—გენერალი შტაბ და ობერი-ოფიცერი.

მოეიდა სამღვდელოება. მას მოჰყვა ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ვენკელი—რომელიც გუბერნატორისა და თავის სახელით სალამი უძღვნა თავად-აზნაურობას. ამის შემდეგ გუბერნიის წინამძღოლმა შემდეგს სიტყვით მიმართა კრებას:

„მოწყალენო ხელმწიფენო! ეხსნი რა დღევანდელს არაჩვეულებრივ კრებას, გამოწვეულს იმ მოულოდნელ და მძიმე ამბებით, რომელსაც განიცდის ჩვენი საერთო სამშობლო—რუსეთი, მე, აი, ამ წუთში ვთვალისწინებ ჩვენს უწმინდეს მოვალეობას მეფისა და სამშობლოის წინაშე. ეს მოვალეობა, ბატონებო,—საუკუნოებით ნაანდერძევი მოვალეობა—კეთილნდობა თითოეულის ქართველისა, შთამომავლისა იმ სახელოვან წინაპართა, რომელთაც მრავალ-წელთა განმავლობაში თავისის განუსაზღვრელის გმირობისა და ვაჟკაცობის მეოხებით შეიმოსეს თავი თვისი დაუშეკნარის დიდებითა, უაღრესად იკადენ რა ხმალით თავისს სარწმუნოებას, ენას, ეროვნებას და თავისებურობას, რომელთაც ხელ-შეუხებლათა და წმინდათა ვინახამდით მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე. ამის შემდეგ ქართველმა თავად აზნაურობამ და ერმა საქართველოსამ თავის ნებით გადასცა რა თავი თვისი ძლიერსა და ერთმორწმენე რუსეთს,—კვლავ შეირჩინა შეურყეველი ერთგულება რუსეთის მეფეთა და ახალის სამშობლოისა.

ბრძოლის ყველა ველზე, იქ, სადაც კი დღევანდლამდე რუსეთის ძლევამოსილ ჯარს მტრისათვის მკერდი მიუშვერია, იქვე იღვრებოდა ქართველ თავად-აზნაურობის შთამამავლთა და მათთან განუყოფელ ქართველის ხალხის სისხლიც რუსეთის საქმის გასაკეთებლად და ჩვენი უსაზღვრო მამაცობით ხელი შეგვიწყვია რუსეთის გამარჯვებისთვის.

წარსულ საუკუნის ისტორიას, ბატონებო, არა ერთი და ორი თავად-აზნაურის სახელი ჩაუწერია უკვდავთა შორის, როგორც სახელი რუსეთის მხედრობის სარდლისა.

ცოტა არ არის ისეთი შემთხვევა წარსულ საუკუნის ისტორიაში, როცა ეს საქართველოისას და განსაკუთრებით კი ქართველ თავად-აზნაურობას, მიუტოვებია სახლკარი მსხვერპლთან რუსეთის საზღვარებში შემოსულ მტრისა და თითონ კი, მეომარ წინაპართა მაგალითებით გამხნევებული, პარისპირ შეჰყრია მტერს და უკუუქცევია იგი.

თავად-აზნაურთა და ქართველი ხალხის ასეთი უანგარო გმირობა და უცვლელი უმაგალითო ერთგულება ტახტისა და სამშობლოისა დღევანდლამდე არა ერთხელ აღუნიშნავთ რუსეთის გვირგვინოსან ხელმწიფეებს, არა მარტო უმოწყალესს მეფურ სიტყვებში, რომლითაც მოგვმართავდენ ხოლმე ჩვენ, - ქართველ ხალხს და ქართველ თავად-აზნაურობას—ამა თუ იმ შემთხვევისა გამო, არამედ ჩვენი ერთგულება აღნიშნულია იმ ჩვენ სიამაყე მეფეთა რამდენიმე გუჯარშიც, რომელნიც ნაბოძები გვაქვს ბრძოლის ველზे ვამარჯვებისათვის: „უსაყვარლესს ერთგულ ხალხს ქუთაისის გუბერნიისას, რომელიც სახელოვნად, ქეშმარიტის თავგანწირვითა, უსამზღვრო მამაცობითა და შეურყეველის ერთგულებით ემსახურება ტახტსა და თავისს ახალ სამშობლოსაო“.

აი, ბატონებო, ასეთი წარსული ვალთა გვდებს ჩვენ ახლაც, ჟამსა ამ დიადის განსაცდელისასა, იმ დროს როცა მტერნი და მშურნი ჩვენის საერთო სამშობლოის—რუსეთის—ძლიერებისა და სახელისა ასე მოულოდნელათ და ასეთის კადნიერებით წინააღეგდენ რუსეთის ხალხს და მისგან გაღმერთებულ ხელმძღვანელს—მოვიგონოთ ანდერძი ჩვენთა წინაპართა, განვიმსჭვალნეთ მათის სიმხდერო სულითა და ყოველივე გაჭირვება ვიკისროთ. ღრმათა მრწამს, რომ თავად-აზნაურობა და მასთან ერთად ხალხიკპირველ მოწოდებისათანავე, როგორც ერთი კაცი, აღსდგება ფეზზე, მიუშვერს მკერდს ქეყნის მტერს, არ დაზოგავს სიცოცხლეს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს მეფისა, რუსეთის ძლიერებისა, ღირსებისა და მხედრობის სახელისათვის. „ვაშა“ ხელმწიფე იმპერატორს“! განუწყვეტელი ტაში და „ვაშას“ ძახილი იყო პასუხად დიდის ყურადღებით მოსმენილ ამ სიტყვისა. ამის შემდეგ თავ. დ. ო. ნიეროძემ წინადადება მისცა კრებას—სხდომის დაწყებამდე შეევედრონ მეფეთა მეუფეს, რათა მან მიანიჭოს გამარჯვება ქრისტესმოყვარე რუსის მხედრობას.

პარაკლისი გადაიხადა დეკანოზმა აბესაძემ, რომელმაც დროის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა. პარაკლისის შემდეგ კრების გახსნისას გუბერნიის წინამძღოლმა აუწყა კრებას მოსკოვის გუბერნიის ქუთაისის ფილიალურს განყოფილებას, რომ მის უფლებას და მოვალეობას შეადგენს შემდეგი: 1) კასის მიღება, 2) სალამოს ხარჯების გასტუმრება, 3) ჯამაგირების ანგარიშში ავანსების დარიგება არა უმეტეს თვიური ჯამაგირის 5 პროც., 4) თვალ-ყურის გდება რეპტილიების რიგზე გამართვისა, 5) კანტროლის გაწევა წარმოდგენების დროს, 6) მოწყობა წარმოდგენებისათვის ადმინისტრატიულის ნაწილისა იმ პირობით, რომ რეჟისორის ხელში დარჩეს წარმოება სახელოვნო, წმინდა სარეჟისორო ნაწილისა (პიესების არჩევა და როლების განაწილება) ისე, რომ რეჟისორმა ფილიალურ განყოფილების ნებადაურთვენათ არავითარი ხარჯი არ გასწიოს, 7 ვანყოფილებამ უნდა იყოლიოს ჯამაგირით ადმინისტრატორი, რომელიც ასარულებს განყოფილების დადგენილებას როგორც ქუთაისში, აგრეთვე ფოთში და 3) ანგარიშების შედგენა ყოველ თვე.

ამგვარ მოწერილობის შემდეგ შეეკრიბეთ ყველი ზემოხსენებული საზოგადოების მიერ ამორჩეული პირები და გავინაწილეთ შრომა ამრიგათ: განყოფილების თავჯდომარეთ აკირჩიეთ ბ. ბ. გველესიანი, მდივნათ თ. ხუსკივაძე, შემოსავალ-გასავლის წარმოება (კასის მიღება, სალამოს ხარჯების გასტუმრება, ჯამაგირების დარიგება და ავანსების მიცემა) დავალეთ ი. პურადაშვილს. რადგან ჯამაგირიანი ადმინისტრატორი შეუძლებელი ეპოვეთ უფულობისა გამო, ეს ნათავად-აზნაურთა წინამძღოლის მიერ მოწერილი ამბავი, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და გადასწყვიტა მომქმედ ჯარში წაიღოს ის დროშა (სტიგი“), რომელიც მათ უდიდებულესობას 1912 წლ. აგვისტოში რუსეთის თავად-აზნაურობამ მიართვა, ამ ამბავმა გამოიწვია ალტაცებული და განუწყვეტელი ძახილი. „ვაშა, ხელმწიფე იმპერატორს“! შემდეგ კრება შეუდგა იმ საკითხის განხილვას, თუ რა დახმარება გაუწიონ ომში მოკლულთა ჯარის კაცების ოჯახებს. მოისმინა-რა გუბერნიის წინამძღოლის მოხსენება, კრებამ დადგინა—მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის ძირითად თანხიდან გადაიდოს 10,000 მ., რომელიც შემდეგ ნაირად უნდა განაწილდეს: 1) 5,000 მ. ვაიგზავნოს მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის, როგორც სრულიად რუსეთის თავად-აზნაურობის საზოგადოების თავჯდომარის განკარგულებაში; 2) 1500 მ. გაეგზავნოს ომში დახოცილთა ოჯახების დამბარე კავკასიის კომიტეტის თავჯდომარეს, სტ. დამს გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვისას; 3) 1000 მ. გადაეცეს ქუთაისის გუბერნატორს, როგორც საგუბერნო კომიტეტის თავჯდომარეს; 4) 2500 მ. გადაეცეს თავად.-აზნაურთა ამავე მიზნის საგუბერნო კომიტეტს, რომლის თავჯდომარეთაც არჩეულ იქმნა გუბერნიის მარშალი თავ. დ. ო. ნიეროძე, ხოლო წევრებათ არჩეულ იქმნენ თავ. მ. გ. ფალავა, ნაფიცი ვექილი ზ. კ. მაჭავარიანი, თავ. ი. დ. გელოვანი, ექიმი გ. კ. ალშიბაია, თავ. ს. გ. მიქელაძე, ექიმი თავ. დ. ნ. ლორთქიფანიძე, კამერგერი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, ი. გ. კვმულარია, ნაფიცი ვექილი ვ. ზ. ჩაჩიბაია და სამსახურ გარეშე მყოფი პოლკოვნიკი ვ. ა. ქუთათელაძე. სრულიად რუსეთის თავ.-აზნაურთა წარმომადგენელების კრებაზე დასასწრებლათ წარმომადგენელად არჩეულ იქნა სამსახურის გარეშე მყოფი პოლკოვნიკი რ. წერეთელი, ხოლო მის მოადგილეთ ბ-ნი ბ. თულაშვილი. დასასრულ-კრებამ ერთხმად სთხოვა გუბერნიის წინამძღოლს თავად-აზნაურთა საგუბერნო კომიტეტის საპატიო თავჯდომარეთ მოწვეულ იქნას პრინცესსა ბ. ნ. მიურატი. X.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანელთა პროკლამაციები.

„ნორდდეუტშ ალლ. ცეიტუნგში“ დაბეჭდილია იმ პროკლამაციების ნიმუში, რომელსაც გერმანიის საზხედრო მოხელე პირები ავრცელებენ გერმანელთა მიერ დაპყრობილ ქალაქებში. პროკლამაცია პირდება მცხოვრებლებს, რომ მათი ქონება და სიცოცხლე უზრუნველ ყოფილი იქნება, თუ შეასრულებენ შემდეგ პირობებს:

1. მცხოვრებლებმა არავითარი მტრობა და წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიონ გერმანელებს ჯარს.

2. მცხოვრებლებმა უნდა დაუთმონ ჯარსა და ცხენებს სურსათი და საკვები, რომელთა მოწოდებაში მცხოვრებლები მიიღებენ ან ფულს, ან კი კვიტანციებს. ამ კვიტანციებით ფულს მიიღებენ მხოლოდ ომის გათავების შემდეგ.

3. მცხოვრებლები მოვალენი არიან საუკეთესოთ მოუარონ ჯარის კაცებსა და ცხენებს და ამასთანავე გაანათონ დამე სახლები.

4 მცხოვრებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გზებს და გასწმენდონ ყოველივე დაბრკოლებისაგან. ყოველგვარი საშუალებით მოეხმარონ ჯარს, რომ მათ შესძლონ ორკეცათ დაკისრებული მძიმე მოვალეობა პირნათლათ შეასრულონ.

5. ბურგომისტრი (ქალაქის თავი), ღვდელი და ოთხი საპატიო მოქალაქე დაუყონებელივ უნდა გამოცხადდენ ჯარის სარდალთან. ესენი მძევლათ იქნებიან.

და უკეთუ რომელიმე ზემოაღნიშნული მუხლი დაირღვა, მიდებული იქნება სასტიკი ზომები, და ყველაზე პირველათ მძევლები დაისჯებიან.

ომი და ოსმალეთი

პრესა კვლავ ეწევა აგიტაციას სამთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთი „ტასიერეფეკიარი“ ამბოს: დადგა დრო, როცა ისლამმა უნდა ადიმაღლოს ხმა, ვინაიდან ღღევანდელი მსოფლიო ომი მარტო ევროპით არ განისაძღვრებამ.

წარმოუდგენელი სიმხეცე.

გაზეთ „მორნინგ პოსტის“ თანამშრომელი, რომელიც თვით დასწრებია ლუვენის აღებას, თავის გაზეთში ათავსებს წერილს მშვიდობან მცხოვრებლების მხეცურო ცემისა და ქალაქის გაკამტვერების შესახებ.

კორესპონდენტის სიტყვით, მეხელნში დამარცხების შემდეგ, როდესაც ბელგიელებმა განდევნეს გერმანელები, მათ სიმხეცეს საზღვარი არა ქონდა. ლუვენის აღებისთანავე გერმანელების მიერ, შეუდგენ მშვიდობიანი მცხოვრებლების ცემას. ოფიციალურათ დამტკიცდა, რომ თვით გერმანელების ჯარისკაცებმა მოახდინეს, პროვოკაციული სროლა, რომელიც სიბაბი გახდა მცხოვრებლების ცემატყეპნისა და ამოხოცვისა. სახლიდან სახლში იერიშით მიდიოდენ და ხოცდენ ყველას, განურჩევლათ წლოვანობისა. მთელი ღამის განმავლობაში ხოცვა არ შეწყვეტილა, ბევრი მღვდელნი, რომელნიც ტაძრების საკურთხეველში იმალებოდენ, აგებული იყვენ ხიშტებზე, ხოლო ის მცირე ნაწილი მოქალაქეებისა, რომელიც კი გადარჩა, სამხედრო-საველე სასამართლოში მისცეს, მიუსაჯეს სიკვდილი და დახვრიტეს. ბელგიის ელჩმა ვაშინგტონში, გერმანელების ასეთი სიმხეცე [illegible] ტი განაცხადა. [illegible] კათოლიკეთა წრეებში ძლიერი აღელვებაა. გაზეთები მოითხოვენ, რომ განაცალებული ქვეყანა ჩაერიოს საქმეში და ბოლო მოუღოს ასეთ სიმხეცეს.

საფრანგეთის პრეზიდენტს მოწოდება ფრანგის ქალების მიმართ.

პრეზიდენტმა პუანკარემ შემდეგის მოწოდებით მიმართა საფრანგეთის ქალებს: „მიუხედავად საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის მეცადინეობისა მშვიდობიანობის დასაცავად, მოხდა ომი, რომელიც გამოიწვია გერმანიამ. სამშობლო ბრძოლის ველზე გამოიწვია თქვენი მამები, ქმრები, ძმები.

რადგან საომრად წავიდა ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან, ამიტომ შეჩერდა მუშაობა ყანებსა და მინდვრებში. რესპუბლიკის და მთელი სახელით მოგმართავთ თქვენ და თქვენს შვილებს, რომლებიც მცირე წლოვანობისა გამო შინ დარჩენ. გთხოვთ, განაგრძოთ მუშაობა ყანებში, შემოიტანოთ წრეკვანდელი მოსავალი და მოამზადეთ მომავალი მოსავალი თქვენ არ შეგიძლიათ მეტი სამსახური მიუძღვნათ სამშობლოს. არამედ მამულისათვის მიგმართავ თქვენს გულს. უნდა იზრუნოთ თქვენი საკუთარი გამოკვებისთვის ქალ. მცხოვრებთა უზრუნველყოფისთვის და განსაკუთრებით იმათ პურისთვის, რომლებიც იბრძიან მამულისა, ცივილიზაციისა და უფლებათა. აღსდგეთ. საფრანგეთის დედებო და ყრმებო, მამულის ვაჟებო და ქალებო! მოსავლის ველზე გასწიეთ იმათი მაგიერ, რომლებიც ამ წამად ბრძოლის ველზე არიან! ღღევანდელ საშინელ ღღეს ანაა მცირე საქმე! ყველაფერი დიადია, რაც სამშობლოს ემსახურება. გაუმარჯოს საფრანგეთს!“

გერმანელები და მათი ზარბაზნები.

ბერლინიდან ახლათ დაბრუნებული ერთი შვედი გაზეთებში სწერს, რომ არცერთმა გერმანელმა არ იცის ხელი იმ უზარმაზარ ზარბაზნებისა, რომელთა გამოგონების ამბავს ასე საიდუმლოთ ინახავდენო.

არამც თუ უბრალო ჯარის კაცებმა, თვით ოფიცრებმაც კი არ იციან საიდან მოუარონ ამ ზარბაზნებს და როგორ გაისროლონ. მათი მოვლა კრუპპის ქარხნების მხოლოდ რამდენიმე ინჟენერს შეუძლია.

ბერლინში ღრმათა სწამთ, რომ ეს დიდი ზარბაზნები, რომლებიც ძალიან

ქუთაისის ქართული თეატრის წარსულიდგან.*)

(მოგონებანი).

1.

1903 წლის ნოებრის თვეში თფილისის დრამატიულმა საზოგადოებამ ქ. ქუთაისში თავისი ფილიალური განყოფილება გახსნა.

ამ განყოფილების წევრებათ ქუთაისის საზოგადოებამ აირჩია: ვ. გველესიანი, ა. კრინიკეი, ი. პურადაშვილი და თეოფ. ხუსკივაძე; დაავალა მათ ქუთაისში თეატრის საქმეს წინ წაძღოლოდენ და თავის შრომა-მაცდინებლობით, შეძლებისადაგვართ დახმარებოდენ თფილისის საზოგადოებას ამ მძიმე, მაგრამ ფრიად საჭირო და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეში.

ჩვენც სიამოვნებით მივიღეთ საზოგადოების მიერ დაკისრებული მოვალეობა და მხურვალე სიყვარულით და ძლიერის ენერგიით შეუდგეთ ამ საქმის მოწყობას.

10 ნოემბერს მოგვიყიდა თფილისის დრამატიულ საზოგადოების მიერ შემდეგი მოწერილობა: „29 ოქტ. ამა 1903 წლისა გამგეობამ დაადგინა აცნობოს ქუთაისის ფილიალურს განყოფილებას, რომ მის უფლებას და მოვალეობას შეადგენს შემდეგი: 1) კასის მიღება, 2) სალამოს ხარჯების გასტუმრება, 3) ჯამაგირების ანგარიშში ავანსების დარიგება არა უმეტეს თვიური ჯამაგირის 5 პროც., 4) თვალ-ყურის გდება რეპტილიების რიგზე გამართვისა, 5) კანტროლის გაწევა წარმოდგენების დროს, 6) მოწყობა წარმოდგენებისათვის ადმინისტრატიულის ნაწილისა იმ პირობით, რომ რეჟისორის ხელში დარჩეს წარმოება სახელოვნო, წმინდა სარეჟისორო ნაწილისა (პიესების არჩევა და როლების განაწილება) ისე, რომ რეჟისორმა ფილიალურ განყოფილების ნებადაურთვენათ არავითარი ხარჯი არ გასწიოს, 7 ვანყოფილებამ უნდა იყოლიოს ჯამაგირით ადმინისტრატორი, რომელიც ასარულებს განყოფილების დადგენილებას როგორც ქუთაისში, აგრეთვე ფოთში და 3) ანგარიშების შედგენა ყოველ თვე.

ამგვარ მოწერილობის შემდეგ შეეკრიბეთ ყველი ზემოხსენებული საზოგადოების მიერ ამორჩეული პირები და გავინაწილეთ შრომა ამრიგათ: განყოფილების თავჯდომარეთ აირჩიეთ ბ. ბ. გველესიანი, მდივნათ თ. ხუსკივაძე, შემოსავალ-გასავლის წარმოება (კასის მიღება, სალამოს ხარჯების გასტუმრება, ჯამაგირების დარიგება და ავანსების მიცემა) დავალეთ ი. პურადაშვილს. რადგან ჯამაგირიანი ადმინისტრატორი შეუძლებელი ეპოვეთ უფულობისა გამო, ეს ნაწილი მივანდეთ ალ. კრინიკეს, მასვე უნდა მიეღო თვისთავზე წარმოდგენების მართვა ფოთში და ბათუმში, თვეში ერთხელ სახალხო წარმოდგენების მართვა და წარმოდგენების დროს სიარული და მორიგობა დაეკალა ალ. გარსეევნიშვილს და თ. ხუსკივაძეს. ამბონიმენტების წიგნის დაბეჭდვა და მოსაწოდებელი წერილის შედგენა დაეკისრა თ. ხუსკივაძეს. განყოფილებამ ისიც დადგინა, რომ ფოთში იგზავნებოდეს არა უმეტეს ათი მაახიობისა და მიეცეს მათ ხარჯათ: რეჟისორს—ხუთი მანეთი დღეში და მეორე კლასის ბილეთი. არტისტებს: ვ. გუნიას, ბალანჩივაძეს, თუთფერიძეს, აწყურბოს, გამყოფლიძეს და დ. ჩარკვიანს. ამასთან ყველა ქალებს დღეში ოთხი მან. და მეორე კლასის ბილეთი. დანარჩენებს კი დღეში სამი მან. და მესამე კლასის ბილეთი. ადმინისტრატორი, რომელიც კი წაყვება დასს ფოთში მიეცეს მეორე კლასის ბილეთი და დღიურათ ხუთი მანეთი. უნდა შედგეს სათეატრო ნივთების სია, რომელშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა მთელმა დასმა.

ამგვარ შრომის განაწილების შემდეგ შეუდექით საქმეს, დავარიგეთ საზოგადოებაში მოწოდებანი, რომელშიც ამოკლეთ, მაგრამ გარკვევით მოვიხსენეთ ჩვენი თეატრის მდგომარეობა და მნიშვნელობა. ვსთხოვეთ საზოგადოებას მეტი ყურადღება, მეტი თანაგრძნობა და დახმარება. გავყიდეთ აბონიმენტის ბილეთები და გავმართეთ წარმოდგენები.

საზოგადოებამ პირველ ხანებში კარგათ დაიფასა ჩვენი შრომა. წარმოდგენებზედ ძლიერ ბევრი დაიარებოდა, შემოსავალიც ჩინებული ეგქონდა, ხშოლოთ ვამჩნევდით, რომ ფოთის წარმოდგენები ბევრ ხარჯს თხულობდა და ბოლოს ისაც-თუთ საზარალოთ დაგვრჩებოდა. მაგიერათ ბათუმი კი შემოსავალს გვაძლევდა. იქ კარგათ აფასებდენ ჩვენს შრომას, და ამვგარი მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, გვამხნევდა, ენერგიას—ძალ-ღონეს გვმატებდა, რადგან ქუთაისის მსახიობნი, უმეტეს ნაწილით თფილისის სცენზედაც თამაშობდენ, ისე, როგორც თფილისის მსახიობნი—ქუთაისის სცენაზე, ამიტომ მსახიობნი უმეტეს ნაწილათ გზაში იყვნენ. ქუთაისიდან თფილისში, იქიდან ბათუმში, ფოთში, ისევ ქუთაისში, და ასე იყვნენ გაკრული გზაში და წარმოდგენებს მართავდენ.

ამგვარმა შრომამ და პიროკრატიულმა ჩვენმა მიწერ-მოწერამ სანატრელი ნაყოფი ვერ მოგვცა, რადგან ამგვარ წანწალში არტისტები ან ისე დაღლილ-დაქანცული იყვნენ, რომ მეტ თამაშს მდა არ ქონდა, ან და წარმოდგენებს ვერ უსწრებდენ, ან მატარებლის დაგვიანებისა გამო და ან რაიმე სხვა მიზეზისა, და ხშირათ იძულებული ვიყავით რომელიმე პიესის დდგმა ან სულ სხვა დროისათვის გადაგვედო და ან სცენიდგან საზოგადოებისათვის შეგვეტყობინებია, რომ ის არტისტი, რომელსაც დღეს ამ პიესაში უნდა ეთამაშნა, დღეს ქალაქიდან არ ჩამოვიდა. ბელგიის ელჩმა ვაშინგტონში, გერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულაო და სხვანი. ამ გვარ გამოცხადებას, ყველამ კარგათ ვიცით რა სუნიც უდის, როგორ მოქმედობს საზოგადოებისა თავმოყვარეობაზე და ისიც წარმოსადგენია რა მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ—თეატრის მმართველნი, საზოგადოების ნდობით აღჭურვილნი პირნი.

ბშირათ ამ გვარ განცხადებას ისევ მეორე გარემოებას ვამჯობინებდით სოლმე.

როდესაც ის არტისტი, რომელიც აფიშებში იყო გამოცხადებული, ვეღარ მოგვისწრედა ქალაქიდგან,—მაშინ მის მაგიერათ სცენაზე სხვა გამოვყავდა, სხვას ვათამაშებდით ხოლმე მის როლს.

არც ეს გარემოება იყო სასიამოვნო საზოგადოების უმრავლესობისათვის დამის გამო, თუ სხვა მიზეზებიც იყო, არ ვიცი, ბოლოს და ბოლოს საზოგადოებამ ზურგი გვაქცია და ძლიერ გულ-ცივათ დაგვიწყეს ცქერა. ჩვენ მაინც არ ვიშლიდით ჩვენს შრომას, არ ვაკლებდით ჩვენს მეცადინეობას, ა მაგრამ ვატყობდით, რომ რაც დრო მიდიოდა, ისე ფეხქვეშ ნიადგი გვეცლებოდა, შემოსავალი გვაკლდებოდა ღა აკ. იქ საცვდურიც გვეს-მოდა. ეს სეზონი, ასე იყო თუ ისე მაინც დავასრულეთ. ანგარიშები გავასწორეთ და შემდეგ სეზონის მოწყობას შეუდექით.

თეოფილე ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება).

*) რაკი მომავალ ეკვნისთვიდან ქუთაისის დრამატიული საზოგადოების დასი კვლავ შეუდგება მუშაივ წარმოდგენების გამართვას, ზედ მეტათ არ მიგვაჩნია მოვაგონოთ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების პატივცემულ წევრებსა და ჩვენ საყვარელ მსახიობებს Ითა რამ მათის წარსულიდან, რისთვისაც სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ წერილს. რედ.

შორ მანძილზე ისერიან ყუმბარებს და რომლებიც მოგონილნი არიან თვით ვილელმისაგან, ამ რამ მალე ბოლოს მოუღებსო.

ქუთაისი

ახალი ამბავი.

პარასკევს, 31 აგვისტოს, ქალაქის ბაღში, დილის 12 საათიდან ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრის მიერ გაიმართება სახალხო სეირნობა-ლოტარია—ალეგრეთ, რომლის შემოსავალიც გადაიდება დასახელებულ კომიტეტის თანხის გასაძლიერებლათ.

ქალთა წრე სთხოვს საზოგადოებას დაეხმარ.ს ამ კეთილ საქმეს, როგორც თავისი წევლილის გადებით, ისე საღამოზე დასწრებით.

✦ 25 აგვისტოს საღამოს თვითმართველობისშენობაში ქალაქის თავის თავმჯდომარეობით მოხდა კრება გაწვეულ სათათარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დამხმარებელი კომიტეტისა. დადგინეს: შეკრიბონ ერთდროული შემოწირულობანი და სთხოვონ დაწესებულებათა და საავჭრო სახლების მოსამსახურეთ, რომ თავისი ჯამაგირებიდან ერთი პროცენტი შესწირონ თვიურად ხსენებული ოჯახების სასარგებლოდ.

✦ როგორც დ. ჭიათუთიდან გვწერენ, ადგილობრივი დრამატიული საზოგადოება მომავალი სეზონისათვის მუშაობას უკვე შეუდგა. დეკორაციების მხატვარი ს. ტიუფანოვი რეჟისორ ბარველის ხელმძღვანელობით ახალ დეკორაციების ხატვას შეუდგა. განსაკუთრებული კომისია მომავალი სეზონისთვის რეპერტუარსაც ადგენს. დასში მოწვეული არის: ქ.ქ. ს. ლეკვეი, ს. ღოღობერიძე, ბ.ბ. ი. ბარველი, ვ. სარელი, შ. ხონელი, გ. გურული (სუფლიორათ), და სხვა. სეზონი შუა სეპტემბერში გაიხსნება.

✦ 25 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე კომიტეტის კრება. კრებას თავჯდომარეობდა ქუთ. ქალაქის თავი ბ. ი. ჩიქოვანი. კომიტეტმა გადასწყვიტა მიიღონ ენერგიული ზომები ფულით და სხვა შემოწირულების შესაგროვებლად. აგრეთვე დაადგინა დაურიგონ კომიტეტის ყველა წევრებს თითო საკვინტალეო წიგნაკი ფულის შესაგროვებლათ და დაიდვას ქუთაისის ყველა დაწესებულებებში ყუთაბები ფულის შემოწირულების შესაგროვებლათ.

✦ გზაში იპოვნეს და ჩვენს რედაქციას გადმოსცეს შესანახათ, ვიღრე პატრონი მოიკითხავდეს, აქვსენტი ბახვას ძის ცურკუმიას ატესტატი, მის მიერ სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შესახებ. ატესტატში არის აგრეთვე თეკლათის მამასახლისიდან მიცემული მოწმობაც. პატრონს შეუძლია მოიკითხოს „იმერეთის“ რედაქციაში.

✦ ქალაქის გამგეობასთან არსებულ ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე კომიტეტს განზრახვა აქვს „რადიუმში“ და „მონპლეზირში“ გამართოს სეანსები თავის საშუალების გასაძლიერებლათ.

✦ ხვალ, 28 აგვისტოს, „პროგოდნიკის“ ამხანაგობის კანტორაში მოხდება საჯარო ეაურობა გაბრიელ ბუზიაშვილის მოძღვარი ქონებისა, რომელიც შეფასებულია 25 მანეთად.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ განცხადებებში საწუხაროა შეცდომა მოგვსვლია: დაბეჭდილია „ქალთა კერძო გიმნაზია მ. ყუბანეიშვილისა“, აცსადებსო,— უნდა იყოს: **„ქალთა კერძო გიმნაზია მ. ეუბჩაშვილისა“** და სხვა.

—✦—

სოფლის ხალხი და პროპაგანდის ექიმები.

ამ ბოლო დროს ექიმობის მნიშვნელობა შეიგნო ხალხმა დაბა-სოფლებიაც; ათიოდე წლის წინად თუ მკითხავ-მარჩიელებთან ჰქონდა საქმე და მით უფრო ენდობოდა, დღეს კი თანდათან ეკარგება მათი ნდობა, ცრუმორწმუნეობასაც თანს ანებებს, აღარა სწამს და ეკიმ-ფერშლებს მეტი პატივისცემით ეპყრობა. ამიტომ საჭიროა, რომ ექიმებიც, რამდენადაც შესაძლებელია, საღავათიანად მოეკიდნენ სოფლის მცხოვრებლებს და მით უფრო ჩაუნერგონ მათ გულში ის რწმენა, რომ დაავადებულ ორგანიზმს სჭირია რაციონალურად შემზადებული წამალი, რომლის გამოწერა შეუძლია ავადმყოფობის დიაგნოზის შემდეგ მედიცინის მცოდნე ადამიანს-ექიმს, ან და მედიცინის ფერშალს. საღავათიანი მოპყრობა გამოიხატება შემდეგში: ექიმი ბინაზე მიმსვლელ ავადმყოფისაგან გასასინჯავი და რეცეპტის დასაწერი უნდა აიღონ ათი შაური, თუ ატყობს ექიმი, რომ ავადმყოფი მეტად ღარიბია და შველას სთხოვს, არაფერიც არ უნდა გადაახდევინოს; თუ ავადმყოფის პატრონი ბინაზე წაიყვანს, საკმარისია 3-4 ვერსის მანძილზე, ცხენსაც თან თუ მოართმევს, 2-3 მანეთს დასჯერდეს, და ცხენიც თუ ექიმის იქნება, მაშინ 5ვერსზე მანეთის მეტი მინაც არ უნდა აიღოს; რასაკვირველია, ვისაც შეძლება აქვს, მას ნება აქვს, რამდენიც უნდა, იმდენი მიართვას გონორარი, მე აქ მხედველობაში მყავს საზოგადოთ მცხოვრებთა ღარიბი ელემენტი; რეცეპტის გამოწერაშიაც საჭიროა ეკონომიის დაჭერა. ამ ზაფხულზე ქვემო-იმერეთის სოფლებში მოგზაურობის დროს ზოგან პროვინციის ექიმებზე და ფერშლებზე გავიგონე სოფლის ხალხისაგან შემდეგი საყვედური: ბინაზე მისულთ მანეთს გვთხოვსო, თუ წვიყვანთ 5-6 ვერსის მინძილზე, ათ მანეთს გვახდევინებსო, რეცეპტს 5-7 მანეთისს გვიწერსო, ალბათ, როგორც გაგვიგონია, პროცენტებს ცალკე იღებს მეფფთიაქეებიდანო, რაზედაც კიდევაც შემეკითხენ, თუ მართალიაო; მე, სიმართლე მოგახსენოთ, არ ვიცი, თუ ერთი და იგივე ავადმყოფობისათვის შესაძლებელია იაფისა და ძვირი რეცეპტის დაწერა, ამიტომ ვუპასუხე, რომ სხვა და სხვა რეცეპტის გამოწერის დროს წამლების შემადგენელობაც სხვა და სხვაა და ფასებშიაც განსხვავებაათქო.

ამ მგარემოების მიზეზია, რომ ხშირად, და უმეტეს ნაწილადაც, სოფლის ხალხი პირდაპირ მეაფთიაქეებთან მიდის, ეტყვიან ავადმყოფობის ნიშნებს და მე აფთიაქეებიც თავისი გამოცდილებით შესაფერისად უმზადებენ მათ წამალს, მოუხდება ავადმყოფს, თუ არა, ვინ იცის; რომ უთხრას ჯერ ექიმთან მიდი და ეჩვენეო, შეიძლება მერმედ აღარ მოვიდეს ჩემთანო და ამის გამო არ აწვილებს მეაფთიაქე.

ლადო ბზვანელი

პატარა ფელეტონი

ლიზა.

(თარგმანი)

I

—გამარჯობა, ლიზა!

ლიზა შეკრთა და დაიბნა წყნარ და ჩუმ ხმაზე. გაწითლებულმა თვალები ასწია და დაინახა მაღალი, ლამაზი სტუდენტი, რომელიც თოგეულს აწვდდა.

—აჰ, როგორ შემაშინეთ, საშა,— ჩაილაპარაკა ლიზამ და სტუდენტს ხელი გაუწოდა.

საშას მოსვლა ლიზას სრულიად არ გაკვირვებია: იგი მოვიდა საღამოზე მისთვის, რომ შეხვედროდა მას.

მეტად მხიარული საღამო იყო. დიდი, ვეებერთელა გაჩაღებული დარბაზი მორთული და აჭრელებული ხალხით სავსე იყო.

ბრწყინავდნენ მხიარულად ყმაწვილი სახენი. ანათებდნენ თვალებიდან იწოდა ცეცხლივით აწითლებული ლოყები, ისმოდა სიცილ-კისკისი! ლიზაც მხიარულობდა. სტუდენტები ერთი მეორეზე იწვევდნენ მას სათამაშოთ, იგი მათ ენაზებოდა, თამაშობაზე კი უარს ეუბნებოდა; მას არ უნდოდა ერთი წუთით დაცილებოდა საშას და მხოლოთ მასთან ერთად ატარებდა მთელ საღამოს.

ტკბილი მუსიკასავით ჩაეცმოდა ლამაზი სტუდენტის სიტყვები. ლიზამ იგი მეორეთ ნახა და უკვე გრძნობდა რაღაც არეული, გამოუტკბეველ სიამოვნებას.

ლიზას სახე ბრწყინავს, როდესაც ლამაზი სტუდენტის თვალები შეხვედრებია მას. ასე ჰგონია, რომ ეს თვალები აშკარად კითხულობენ ყოველივეს, რაც კი სწერია მის სულსა და გულში.

როგორც სასიამოვნო სიზმარმა, ისე ჩაიარა ამ საღამომ ლიზასათვის.

დროა სახლში...

საშა გაჰყვა მას. ზამთრის ჩუმ ღამეში ქუჩა თითქმის დაცარიელებულიყო, ფარნები ოდნავ ბეჟუტავდნენ. აქა-იქ ისმოდა მარხილის სრიალის ხმა.

საშა და ლიზა, მიდიოდნენ ბნელ შესახვევებში, საშა ემუსაიფებოდა ჩუმი ნაზი ხმით, მაგრამ ლიზას არაფერი არ ესმოდა, ისე იყო გართული ფიქრებში. ის მხოლოდ მაშინ გამოიღვიძა, როდესაც იგრძნო თბილი ნაზი კოცნა, როდესაც მათი ტუჩები მიეწებენ ერთმანეთს და სტკბებოდნენ ერთმანეთის ალერსით.

—შენ მოხვალ ხვალ ჩემთან? მოხვალ ჩემო კარგო? ეკითხებოდა ვაჟი ქალს.

—მე ვიცი, რომმოხვალ!—და საშამ კიდევ უფრო მაგრათ ჩაიკრა გულში.

II

მეორე დღეს ლიზა ძალიან გვიან ადგა. დაღლილობას და მასთან თავის ტკივილსა გრძნობდა.

— კიდევ უნდა წავიდე გაკვეთილზე მასწავლებელთან... რა მოსაწყენია!... ღმერთო ჩემო! ჰფიქრობდა ლიზა და ზარმაცათ იცვამდა, ამდენის მეორე ოთახში კი, ისმოდა მხიარული უმნკო სიცილ-კისკისი მაროსი. ისინი ერთად დადიოდნენ მასწავლებელთან.

—მარო, მომეცი გადავიწერო გამოცანა. მე არ გამომიყვანია.

— გადიწერე და გავიქეცთ საჩქაროთ: ივან პეტროვიჩს არ უყვარს, როდესაც ვიგვიანებთ!...

გაკვეთილზე ლიზა, რალაც უყურადღებოთ და დაფანტულათ იყო, ისე რომ მასწავლებელი კიდეც გაუჯავრდა.

-- თქვენ ახლა დიდი ქალი ხართ, ერთი წლის შემდეგ კურსებზე უნდა წახვიდეთ, თქვენ მოვალეობას კი ისმენთ ასეთ ექცევით. სირცხვილია ეს!...

— მასწავლებელო! ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ ავათ არის? ძლივს ზის! — იცავდა ლიზას ამხანაგი მარო.

მასწავლებელმა უსიამოვნოთ თავი გაიქნია.

ლიზა გაკვეთილის გათავებას მოუთმენლად ელოდა. აი, გათავდა კიდეც გაკვეთილი და, როდესაც მაროს გამოემშვიდობა, აღარ იცოდა რა ექნა, წასულიყო საშასთან, თუ არა? დედისა ეფიქრებოდა: ვაი თუ გამიგოს და მაშინ სიყვარული აშკარა შეიქნებოო.

— მე უკვე დიდი ვარ, ვის შეუძლია ჩაეროს ჩემ საქმეში! გადასწყვიტა თავის გუნებაში ლიზამ და საშას ბინისაკენ გულის კანკალით გასწია.

დიდი ქუჩა მას ულევი ეჩვენა... როგორც იყო მიაღწია საშას ბინას და ზარა მთრთოლვარე ხელით ჩამორეკა. მოისმა ფეხის ხმა და კარი გაიღო მოუხეშავმა ულამაზო ბიჭმა.

— აქ დგას სტუდენტი პეტროვსკი? იკითხა ლიზამ დარცხვენილის ხმით.

— დიახ, იგი ამხანაგებთან ერთად ამ ოთახს ქირაობს— უპასუხა ბიჭმა.

— ამხანაგებთან... ერთად! შიშით გაიფიქრა ლიზამ —როგორ დაველაპარაკო საშას სხვა კაცთან? მაგრამ... სულ ერთია... ლიზამ დერეფენი გაიარა და დაუკაკუნა კარებზე, რომელზედაც მიუთითა ბავშმა.

— ეს თქვენ ბრძანდებით ლიზა! ოდნავ გაკვირვებით წამოიძახა სტუდენტმა.

ლიზას გულზე ეკალიკით დაესო სიტყვა „თქვენ“, ასე ცივათ, ასე უცხო კოლოთ ნათქვამი!

ოთახში შესვლისას იგი დაჯდა სკამზე და მეტის-მეტი აღელვებისაგან შლა დაუწყო იმ წიგნს, რომელიც მაგიდაზე იდო. საშა სდუმდა. იგი განცვიფრებით მისჩერებოდა ქალს თვალებში. ბოლოს ღიმილით ჰკითხა.

მაშ არ დაგავიწყდი! მოხვედი? იგი დაიხარა ლიზასაკენ და დიდხანს ჰკოცნიდა.

ლიზას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. თითქოს მისუსტდა, კიდეც, მაგრამ სატრფოს მიინც თავიდან არ იშორებდა.

ლიზა ერთ წუთს გონს მოვიდა და უნებურად გაიბრძოლა.

იგი ყმაწვილს ხელიდან გაუსხლტა.

— აკი გაუკვარვარ!.. აღელვებით ეუბნებოდა სტუდენტი და თან ლიზასკენ მიიწევდა... ეფიცებოდა, უყვავებდა...

—

— გაადე, საშა!—მოისმა უცბათ ვიღაცას ხმა და კარების რახუნი.

— ჩქარა ჩაიცვი! ეს ჩემი ამხანაგია,— ზიზღით წაიჩურჩულა პეტროვსკიმ.

ლიზა ცრემლებს ძლივს იმაგრებდა საშა კი იდგა მის წინ და ზიზღით მისჩერებოდა.

ლიზა გამოეშვიდობებელათ გავიდა ოთახიდან. საშას ამხანაგმა თვალი გაეყოლა, მაგრამ ლიზასთვის ახლა სერ ერთი იყო.

სიყვარული უკვე მოკვდა!...

დიდხანს იარა ლიზამ ქუჩებში უსაქმოდ. ცრემლები ღაფ-ღაფით სდიოდა თვალებიდან. უდონოთ დაეცა იგი სკამზე ერთ დიდ სახლის წინ და ხმამაღლა აქ— ქვითინი ამოუშვა. იგი სტიროდა თავის სიყვარულს, ნაზს და სანდოს, რომელიც ისე უცბათ მოკვდა და დასჭკნა, როგორც მალე დასჭკნება ხოლმე ახლათ გაშლილი ვარდი!...

თამარა მესხი—ბადაშელიშვილი.

ფერილი რედაქციის მიმართ.

ამას წინეთ გაზ. იმერეთში იყო მოთავსებული ცაგერიდან გამოგზავნილი წერილი, სადაც ის ცაგერის ინტელიგენციას უკიჟინებს მოქალაქობრივ გამბედაობის უქონლობას სამკითხველოს საქმეებში. აგვიწერს-რა სამკითხველოს უკიდურეს მდგომარეობას, ავტორი ამბობს, რომ იგი მხოლოდ გამგისათვის არის და ინტელიგენცია-კი ამაზედ კრინტსაც ვერა სძრავსო.

ჩემდათავად მე არ ვღებულობ ამ საყვედურს ჩემს თავზედ, ვინაიდგან მე ყოველთვის გავყვიროდი სამკითხველოს დაქვეითების მიზეზებს და არავისთან არ ვფარავდი სიმართლეს, მაგრამ მუქადოთ ლანძღვა-ვინება მიძღვნეს სადაც-კი-თუ-ულს ორგანოში.... ვერც ერთ-ერთ წერილის ავტორს ვუქმ გამბედაობას, ვინაიდან ისიც ჰფარავს [illegible]

დეგენერატი, ცაგერი მბრალობა

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

სამოსწავლო მოსავლის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშვთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშვების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშვის მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოშოლავასი.



ახალი უნეგელი საშვალება

რომ ჰირისახისათვის „ბეტტი“

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს: სპობს სრულებით

ფერმეჭამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ცურხვე აგრეთვე მაპაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ეკერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქუთაისში, აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩეკი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს საღავათი.

15—1

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მაღნეული წელის ABANO.

რომელიც იმყოფება ველათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ეს ორმოცდა ათი საეენი აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი შესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული ** კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშვების საყმაწვილოს. გიმარი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატრონ-მფლობელი **გ. მ. არჯევანიძე.**

მუშაობს

ხრესილის მაღნეული წელის

ძმ. ჟორჟოლაძეების

სამკურნალო ABANO.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ცივებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისხვნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი,** სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „ხერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლების გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის“.

ქუთაისში.

ვაჭრობა-ირეწვეელობის სამინისტროს უწყებაში მეოთი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**

ტასამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.